სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
25
ივლისი
№ 8 (10481)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## ლეწა-გარჯით ავაღორძინოთ

დღეს საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს რომ განიცდის, ყველასათვის ცხადია. ფაქტია ისიც, თუ რამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე. ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის თავჩენილმა დისპროპორციამ ხელი შეუწყო უამრავი წინააღმდეგობების წარმოქმნას. რა თქმა უნდა, ასეთი მძიმე მემკვიდრეობის პირობებში სახალხო მეურნეობის ძველი, ავტორიტარული სისტემის დემონტაჟის აუცილებლობას დღეს ალტერნატივა არა აქვს. სწორედ ამ მიზნით მუშავდება ამჟამად ეკონომიკის ახალ სტრუქტურებზე თანდათან გადაყვანის მექანიზმები. მართვის ახალი ფორმების დანერგვის პროცესი არ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენი გუშინდელი გამოცდილებისაგან აბსოლუტურად მოწყვეტილ მოვლენად. იგი გახლავთ დიალექტიკური ფენომენი, რომელიც დრომოჭმულისა და ფუნქცია დაკარგულის უარყოფის პათოსთან ერთად ახალისა და კონსტრუქციულის ჩანაცვლების მომენტს გულისხმობს.

საქართველოს ახალი მთავრობის არაერთგზის და გამოკვეთილად მიუნიშნებია, რომ სოფლის მეურნეობაში გეზს იღებს წარმოების სხვადასხვა ფორმების თავისუფალი თანაარსებობისაკენ. ყველა სტრუქტურამ უნდა იფუნქციონიროს თანაბარუფლებიანობისა და ნებაყოფლობის პრინციპების დაცვით. სადღეისო მომენტის მთელი სირთულე იმაშია, რომ ამ მასშტაბური გარდაქმნების მაორგანიზებელი ხაწყისის პოვნა, ექსტრემალური და არა ცალსახა პროცესების უნარიანად თავის მოხმა შევძლოთ.

რა ვითარებაა ახლა საქართველოში? ერთის მხრივ იმედის მომცემი და ფერიცვალების რომანტიკით აღსავსე. იმავდროულად გულსა და გონებას შემო სწოლია გაურკვევლობის, უძმირისობის, განცდა. ახეზარი მწე რივით აეკიდება ყოველ ჩვენთაგანს კითხვა: საიდან დავიწყოთ, რა გზის დავადგეთ ხვალ? განსაკუთრებით აწუხებს ეს საკითხი სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ყველანი ვართ იმის მოწმე რომ გარკვეული მოვლენების გამო საკუთრებისა და მიწის შესახებ კანონების მიღება რესპუბლიკაში ყოვნდება. ეს კი ბუნდოვნად ტოვებს მთელ რიგ საჭირბოროტო საკითხებისადმი მიდგომის პრინციპებს. თუმცა უწინდებურად ხელ შემდგომისკენ ყურების პრაქტიკაც აღარ გამოგვადგება. მთავარია ხელმძღვანელობამ მიანიშნოს ერთიანი სტრატეგია მოქმედებისა. დანარჩენი საკითხები, რომლებიც საქმის წარმართვის ტექნიკურ მანევრებს უკავშირდება, ჩვენ თვითონ, ადგილებზე უნდა გადავწყვიტოთ.

იცვლება მიდგომები სოფლის მეურნეობაში. „საქაგრომრეწვის" მმართველობითმა ფუნქციებმა „ბრძოლის ველი" დატოვა და ადგილს უთმობენ სასოფლო წარმოების კოორდინირების უფრო თავისუფალ, დემოკრატიულ სტრუქტურას.

რა მიმართულებით უნდა გადაიდგას მომენტით ნაკარნახევი ენერგიული ნაბიჯები? ისევ და ისევ შერეული სტრუქტურებისაკენ, რომლებიც ყველაზე მოხერხებულ სამუშაო გარემოს შეუქმნის გლეხკაცს. უნდა გამოირიცხოს ძალდატანების, იძულების მომენტი. ყველა საკითხი სოფლად უნდა გადაწყდეს ნებაყოფლობის პრინციპით, დემოკრატიულად. მთავარია გადამწყვეტ რგოლს ჩავჭიდოთ ხელი: გავუჩინოთ გლეხკაცს შრომის ხალისი, დავუბრუნოთ მარჩენალი მიწის სიყვარული. იმის რწმენა, რომ თავისი ალალი ლეწა-გარჯით მოალონიერებს როგორც საკუთარ ოჯახს, ისე მის ხათაყვანებელ საქართველოს.

## გულგრილობის შედეგი

მეაბრეშუმეობა ძალზე რთული, მაგრამ საინტერესო საქმეა. ეს ჭეშმარიტება არც ახალკახათელთათვისაა უცხო. სოფელში ბევრი კოლმეურნე საკარმიდამო ნაკვეთზე სათუთად უვლის თუთას, აქტიურად მონაწილეობს ჭიის გამოკვებაში.

მოწინავე მეაბრეშუმეები ჟენვერ ლუკავა, ნონა გოგიჩაიშვილი, არდაშელ ლესინძე, ფრიდონ კვირკველია და სხვები ყოველ წელს პარკის უხვ მოსავალს აბარებენ მრეწველობას. მათზე მადლობის მეტი ვის რა ეთქმის, მაგრამ ცალკეული პირები საქმის მიმართ სრულ უპასუხისმგებლობას, გულგრილობას იჩენენ.

როგორც აგრონომმა ლ. კვარაცხელიამ განაცხადა, წელს მეაბრეშუმეებს გაუნაწილდათ 532 გრამი გრენი, ნავარაუდევი იყო 981 კილოგრამი პარკის წარმოება, მაგრამ მეაბრეშუმეთა უმრავლესობამ უარი თქვა ჭიის გამოკვებაზე. თავი იჩინა დაავადებამაც და შედეგიც სავალალოა. წლიური დავალება შესრულდა მხოლოდ 34 პროცენტით. სეზონის დღეები კიდევ წინაა, ამჯერად მეაბრეშუმეებზე ნაწილდება 47 გრამი გრენი, მაგრამ ეს თვითდამშვიდების უფლებას არ იძლევა.

მიმდინარე ეტაპზე, როცა საქართველო დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფის, ყველას მეტი მონდომება მართებს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. ახლა ჭიის გამოკვებაზე უარის თქმა ქვეყნის ღალატის ტოლფასია.

პ. თორია.

## მოიჯარე საკვებმომპოვებლები

ოდიშის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელთა ბრიგადის წევრები, რომელთაც გ. თამლიანი ხელმძღვანელობს, იჯარული მეთოდით მუშაობენ. შრომის პროგრესული მეთოდის დანერგვამ შედეგი გამოიღო. მოიჯარენი მეტ პასუხისმგებლობას იჩენენ საქმისადმი. ყველა კმაყოფილია საზღაურით.

ბრიგადის წევრებმა 17 ჰექტარზე დათესეს სამყურა, მწვანა, იონჯა და სხვა ბალახები. სასილოსედ სიმინდს დაეთმო 20 ჰექტარი, რომელიც სანიმუშოდაა მოვლილი.

წელს საკვებმომპოვებელთა ბრიგადის წევრები კომეკებში ჩადებენ 400 ტონა სასილოსე მასას. უხვად მოიმარაგებენ თივას, ჩალასა და სხვა საკვებს.

## შეხვედრა უფოლოგთან

ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებული ანომალურ მოვლენათა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარესთან ბატონ თალეს შონიასთან.

სტუმარმა ილაპარაკა იმ ანომალურ შემთხვევებზე, რაც უშუალოდ საქართველოში ხდება. მისი აზრით, უფოლოგია არის ანომალურ მოვლენათა შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც დახმარებას უწევს რელიგიას. სპეციალური განმარტებით, უფოლოგია არის „ცრუ მეცნიერება „გამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ", რომლებითაც თითქოს შორეული პლანეტებიდან დედამიწაზე მიფრინავენ იქაური მცხოვრებლები". ბატონი თალესის განმარტებით, უფოლოგიის მიერ შეუცნობადი მფრინავი ობიექტების კვლევაში შედის ფართო სპექტრი. „ფენომენის" გამოვლინება ყოველთვის იყო თუნდაც დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში. ამერიკის ერთ-ერთ აკადემიაში სამაგალითოდ აღებულია ორი ბრძოლა დავითის ცხოვრებიდან, რომელსაც ამ თვალსაზრისით ასწავლიან როგორც კანონს.

ანომალურ მოვლენათა შესწავლა მას შემდეგ დაიწყო, რაც დაინახეს „პირველი" ფენომენი საგარეჯოში. რუსული „პ"-ს მაგვარი ფიგურა 40-50 მეტრი სიმაღლითა და 20-25 მეტრი სიგანით, რომლის დაფაზეც „რაღაც" ბრუნავდა. საათნახევრის შემდეგ ყველაფერი ქრება. კომისიამ დაასკვნა, რომ ასეთი „გადაადგილება" კაცობრიობის დღევანდელი ტექნიკით შეუძლებელია. შემდეგ მსგავს გამოვლინებას ადგილი ჰქონდა თელავში და ბოლოს დასავლეთშიც. მეცხვარეების აღწერით, „ეს იყო მნათი, რომელიც აფრენის მომენტში გამოსცემდა მჭახე ხმას.

მეორე დღეს დადგინდა, რომ ჯარდნა იყო 600 მეტრ სიმაღლიდან, რის შედეგადაც უცნაურად გაიჩეხა ტყე. ხეები ძირიანად კი არ იყვნენ ამოთხრილი, არამედ დეფორმირებული ერთი მიმართულებით. იგივეს ჰქონდა ადგილი საგურამოსთან ახლოს, სადაც კომისიამ აღმოაჩინა ჰვარტლის გრანულები, რომელიც შედგებოდა ისეთი ძვირფასი ლითონებისგან, რომელიც ბუნებაში ადვილად არ მოიპოვება: ოქრო, ვერცხლი..., თან გრანულები გაკეთებულია 3800 გრადუს ტემპერატურასა და მაღალ წნევაზე. ინგლისისა და ამერიკის აკადემიებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრანულების გაკეთება კაცობრიობის თანამედროვე ტექნიკური მონაცემებით გამორიცხულია, მით უმეტეს, გრანულები „ცოცხალ" არის მიჯაჭვული ფაშზე",— ამბობს ბატონი თალესი. ამის შემდეგ ინტენსიურად იკვლევენ ანომალურ შემთხვევებს.

ბატონმა თალესმა ყურადღება გაამახვილა ფენომენის მიერ ადამიანებთან დამყარებულ ურთიერთობაზე, რაც ხორციელდება ზაწერი საშუალებებით. იგი იტყობინება თავის ვინაობას, თუ რომელი პლანეტიდან აწ გალაქტიკიდანაა, როგორია იქ იერარქია, რაც შეეხება ენას, იგი ყველა ეროვნების ხალხთან ეროვნულ ენაზე საუბრობს: ქართველთან—ქართულად, ფრანგთან ფრანგულად... ფენომენი გვაწვდის ინფორმაციას ელემენტარული მონაცემებიდან ტექნიკურ მონაცემებამდე.

ამდენად, ბატონი თალესის რწმუნებით, ეს ფენომენი რეალურად არსებობს. ამის შემდეგ ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რისი მომტანია იგი, კეთილია თუ ეშმაკისეული?

ბატონმა თალესმა თქვა, რომ სამყარო არ შეიძლება იყოს ეშმაკისეული. მას განაპირობებს სამი პირობა: გეოფიზიკური, კოსმიური და ფსიქიკური. „ეს ფენომენი სრულიად „არ ხულიგნობს", იგი გვაფრთხილებს, რომ კანონები შენს გარშემოა და გონივრულად გამოიყენეო"... ფენომენის თითოეულ „წერილში" ფიგურებს ჯვარი და ათივე მცნება. მათი მიზანია ადამიანის სხეულის ჯანმრთელობა და სულიერი ამაღლება, რასაც ადასტურებს, როგორც ბატონმა თალესმა თქვა, მის მიერ ჩატარებული სხვადასხვა სახის ოპერაცია.

სტუმარს ჩამოტანილი ჰქონდა ვიდეომასალა, რომელიც მომზადებული ჰქონდა საერთო კონფერენციაზე გასატანად, რომელიც მიუნხენში გაიმართა. ავტორის თქმით, ყველაფერი იმდენად ფანტასტიკური და იმავე დროს რეალურია, რომ ჯერ-ჯერობით ნაადრევია მათი გამხელა.

აქტუალური ინტერვიუ

# თუ კაცი გონიერია...

სადღეისოდ, ალბათ, იშვიათია პიროვნება, რომელიც კოლმეურნეობასაც თავკაცობდეს და სოფლის საკრებულოსაც. და მაინც, ასეთი გახლავთ ვასო ფარცვანია—ახალაბასთუმნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე 1987 წლიდან, ხოლო 1991 წლის 21 აპრილიდან კი—იმავე სოფლის საკრებულოს გამგებელი. იგი 40 წლისაა, უპარტიო, ეკონომისტი, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პიროვნებას, ასე ვთქვათ, ორმაგი ტვირთი დააწვა, ახალაბასთუმნის კოლმეურნეობაც და საკრებულოც ერთ-ერთი სანიმუშოა რაიონში. სწორედ ამან დაგვაინტერესა და რამდენიმე კითხვით მივმართეთ ვასო ფარცვანიას.

—ბატონო ვასო, თქვენ 1987 წლიდან დღემდე სათავეში უდგახართ კოლმეურნეობას, თუ შეიძლება გვითხარით, რას მიაღწიეთ ამ ოთხი წლის განმავლობაში?

—საკუთარ მიღწევებზე საუბარი ცოტა მეუხერხულება, მაგრამ თუ რამე კარგი გაკეთებულა სოფელში დასახელებულ პერიოდში, მე მიმაჩნია პირველ რიგში არა მხოლოდ ჩემი, არამედ სოფლის მშრომელთა დამსახურებად. მოკლედ გეტყვით: 1987 წელს, როცა მე თავმჯდომარედ ამირჩიეს, კოლმეურნეობის რენტაბელობის დონე 10 პროცენტი იყო, ხოლო მოგების მოცულობა მხოლოდ 159 ათას მანეთს შეადგენდა. 1990 წელს რენტაბელობის დონემ 39 პროცენტს მიაღწია, ხოლო მოგების მოცულობა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი სამჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. იმატა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის როგორც წარმოების, ასევე სახელმწიფოზე მიყიდვის მაჩვენებლებმა, გავაუმჯობესეთ სოფლის იერსახე და ვცდილობთ დღითიდღე ავამაღლოთ მის მცხოვრებთა, განსაკუთრებით კი სოციალურად ნაკლებად დაცულთა ყოფის დონე. სადღეისოდ 61 კოლმეურნეს ეძლევა პენსიების შევსება მათ საშუალო გამომუშავებამდე, რომელიც თვეში 250 მანეთს აღწევს, 56 ოჯახის 168 წევრს ეძლევა უფასო კვება და ასე შემდეგ. ყველაფრის აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მართალია, ძნელად და ნაბიჯნაბიჯ, მაგრამ მაინც წინ მივდივართ. კიდევ ვიმეორებ: მთავარია ის, რომ ხალხის თავდადებული გარჯის ნაყოფი ისევ ხალხს უბრუნდება სოციალური სიკეთის სახით.

—დღეს ბევრს ლაპარაკობენ კოლმეურნეობის, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმის, უვარგისობაზე. საინტერესოა თქვენი აზრი ამის შესახებ.

—არ დავმალავ, იყო დრო, როდესაც მეც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ეს ფორმა შეუცვლელად მიმაჩნდა. მხოლოდ ვფიქრობდი, რომ მას სერიოზული „კაპიტალური რემონტი" სჭირდებოდა, როგორც ეს ჩვენ ამ ოთხი წლის მანძილზე გავაკეთეთ, ახალაბასთუმანში. მაშინაც როცა ჩვენი მუშაობის პრაქტიკიდან ამოვიღეთ ზემოდან დიქტატის, ათასგვარი ინსტრუქციებისა და ვალდებულებების კოლმეურნეების თავზე მოხვევის პოლიტიკა, როცა უარი ვუთხარით დრომოჭმული ფორმებითა და მეთოდებით მუშაობას, საქმეში ჩავრთეთ კომპეტენტური და ინიციატივიანი პირები, ის შედეგი მივიღეთ, რაზედაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

და მაინც, კოლმეურნეობა არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ის ფორმა, რომელმაც წარმატება უნდა მოგვიტანოს და ეს ცხოვრებამაც დაადასტურა. გავიხსენოთ თუნდაც საბაზრო ეკონომიკის ამოსავალი კონცეფცია: „...რომ თავისუფალი ადამიანი ლებულობს იმ გადაწყვეტილებებს, რასაც შეუძლია სარგებლობა მოუტანოს მას. ადამიანი მუშაობს უფრო კარგად თუ შესაძლო შედეგები გავლენას მოახდენს მის თავისუფალ ბედზე". ამ თავისუფლებას საკოლმეურნეო წყობა ვერ აძლევს გლეხს.

ჩემი აზრით საჭიროა კოლმეურნეობათა რეორგანიზაცია, მაგრამ აქ სიჩქარე ისეთივე დამღუპველი იქნება, როგორც ნაჩქარევი კოლექტივიზაციის წლებში ყოფილა; მით უმეტეს, რომ ჯერ-ჯერობით არა გვაქვს კანონი მიწისა და პრივატიზაციის შესახებ. ამ კანონის მიღების შემდეგ საჭიროა რამდენიმე ეტაპი იმისათვის, რომ კოლმეურნეობათა რეორგანიზაცია განხორციელდეს. თუ როგორ და რანაირად უნდა მოხდეს ეს, ამაზე საუბარი აქ ძალიან შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენს მიერ შემუშავებული წესდების პროექტი თავისუფალ გლეხთა კავშირისა, ეს პროექტი ამჟამად პრეფექტურაში დამუშავების პროცესშია და ველოდებით კანონს მიწისა და პრივატიზაციის შესახებ, რადგანაც ჩვენი გლეხთა კავშირის წესდების პროექტი ძირითადში ემყარება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას.

—თქვენ დღეს გამგებელიცა ხართ და კოლმეურნეობის თავმჯდომარეც. რას გვეტყვით ამის შესახებ?

—31 მარტის არჩევნებამდე მოქმედი საბჭოების უბედურება ის იყო, რომ მას არაფერი არ გააჩნდა იურიდიული, მაგრამ გაყალბებული ძალაუფლების გარდა და საბჭოს თავმჯდომარე მათხოვრის როლში იყო მუდამ კოლმეურნეობის თავმჯდომარის თუ სოფლის ტერიტორიაზე მდებარე სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელთა წინაშე, რომლებსაც მთელი ფინანსები მუშტში ჰქონდათ მოქცეული. დამატებული ამას საფინანსო ორგანოების მკაცრი გაცენტრალიზებული მოქმედება, რომელიც სამწუხაროდ დღესაც გრძელდება. აქ ასეთი პოლიტიკა ხორციელდება: „მომეცი შენს მიერ გამომცხვარი მჭადი და მოგიტეხავ ცოტას". ძალიან არ მინდა დღესაც ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდე. დღეს მე ვერავინ მასწავლის სად რა უჭირს ჩვენს სოფელს და საიდან მივმართოთ კოლმეურნეობის თუ სოფლის ტერიტორიაზე მდებარე სხვა საწარმოთა სახსრები, თუმცა დღეს მოქმედი მოუქნელი საფინანსო ბერკეტები იმის „საშუალებას" იძლევა, რომ კოლმეურნეობის გარდა სოფელს არავინ მიხედოს.

—რაიონის სოფლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები იმდენად ჩამორჩა, რომ ზუგდიდის პრეფექტურა იძულებული გახდა სპეციალური განკარგულება გამოეცა. თქვენთან კი ჩამორჩენა და პასიურობა არ იგრძნობა. რით შეგიძლიათ ახსნათ ეს?

—ჩამორჩენის რამდენიმე მიზეზი არსებობს: პირველი ის, რომ ჩვენ 70 წლის მანძილზე მიჩვეული ვიყავით ზემოდან კარნახს, ანა როდის დაგვიბარებენ და მოგვცემენ ამა თუ იმ დავალებას ან გააკონტროლებენ გეგმის შესრულების მიმდინარეობას და მგონია, რომ ეს კომპლექსი ერთბაშად ყველამ ვერ მოიხსნა. ჩვენს სოფელში ეს ნაკლებად იგრძნობა, რადგანაც უკვე მეხუთე წელია ბევრჯერ იმის საწინააღმდეგოს ვაკეთებთ, რასაც გვკარნახობენ ზემოდან და წარმატებასაც ვაღწევთ.

მეორეც: ჩვენი საზოგადოება არ აღმოჩნდა მზად დემოკრატიისათვის. დემოკრატიის გამოვლინება როდია ის, რომ ყველამ ის ვაკეთოთ, რაც მოგვესურვება. ავიღოთ თუნდაც მიწების უკანონოდ მიტაცების ფაქტები. ყველას გვაფრთხილებენ, რომ უნებართვოდ არ შევეხოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, სოფლებში კი ამ მიწებს იტაცებენ სამოსახლოდ, სავაჭროდ და ასე შემდეგ. იტაცებენ ისინი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სოფელთან. მე გთხოვთ სწორად გამიგოთ: დიახაც საჭიროცაა და აუცილებელი, რომ გლეხს მიწა მივცეთ კერძო საკუთრებაში. ისიცაა მისაღები, რომ ქალაქელი სოფელში დაბრუნდეს და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მოჰკიდოს ხელი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასე როდი ხდება. ბევრს სავარგულები უნდა სამოსახლოდ და არა პროდუქციის საწარმოებლად, ყველას უნდა დასახლდეს ახალაბასთუმანში, ინგირში, შეთაწყაროში, მაგრამ არავის—ერგეტაში, ორულში, იქ, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე ხუთჯერ და უფრო მეტად ნაკლებია, ვიდრე ქალაქის ახლო მდებარე მცირემიწიან სოფლებში. ყოველივე ამას დემოკრატიის გამოვლინებად ვერ ჩავთვლით. ვფიქრობ, დემოკრატია პირველ რიგში კანონების აღიარებას და მაშასადამე, დისციპლინას ნიშნავს და არა ანარქიას.

საერთოდ კი, პრეფექტურის განკარგულება მეტად დროულია და იგი ჩვენც დაგვეხმარა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უფრო ჩქარი ტემპით წარმართვაში.

—პრეფექტურის განკარგულებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ იჯარული ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში ფორმალურია და იგი ქაღალდს არ სცილდება.

—სწორიცაა. ამჟამად ჩვენს რაიონში და ჩვენს სოფელშიც გავრცელებული საიჯარო ურთიერთობანი მეტად არასრულყოფილია და მას ცალმხრივად ვუდგებით. ხშირ შემთხვევაში ჩვენი და მწარმოებლის ურთიერთობანი არცაა სრულყოფილი იჯარა. იჯარა, ფაქტობრივად, წარმოების საშუალების ქირით აღებას ნიშნავს, ხოლო მოიჯარე ამ საშუალებას შემდგომში როგორც მას უნდა ისე იყენებს. ჩვენთან კი მრავალი შეზღუდვაა დაშვებული, დამატებული ამას ძალზე ხშირია შეფერხებები მატერიალურ ფასეულობათა მომარაგებაში. ამიტომაცაა რომ იჯარული ურთიერთობანი ან ხშირად იშლება, ან ფორმალური ხასიათისაა. ჩემი აზრით, ფართო გზა უნდა გავუხსნათ ე. წ. თავისუფალ იჯარას, რომელიც შემდგომში, შეიძლება კერძო საკუთრების საფუძველიც გახდეს.

—უპირველესი საზრუნავი, სადღეისო პრობლემები...

—პრობლემები არის. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ეკოლოგიურ პრობლემას. სოფელში მრავალი ისეთი საწარმოა განლაგებული, რომლებიც აჭუჭყიანებენ გარემოს. აქეთ კიდევ ქალაქი გვესაზღვრება, რომლის ატმოსფერო თავისთავად დაბინძურებულია, თუმცა ბოლო პერიოდში, საკრებულოს არჩევის შემდეგ, საკრებულოს ეკოლოგიისა და ბუნების დაცვის კომისია ენერგიულ საქმიანობას ეწევა.

გვინდა, რომ სოფლის იერსახე და სოციალური პირობები საუკეთესო იყოს რაიონში. წლეულს დავიწყეთ სოფლის გაზიფიცირება, შავი საფარი დაიგება 2 კილომეტრზე, ვცდილობთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის მშენებლობის დაწყებას.

სოფლის ყველაზე დიდი, ფასდაუდებელი სიმდიდრე ახალგაზრდობაა. მინდა, რომ ახალგაზრდა იშვიათად ტოვებდეს სოფელს. საჭიროა ახლადშექმნილი ოჯახები დაკმაყოფილდნენ ბინებითა და სხვა სახის მომსახურებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის წვრილმრეწველობისა და დამხმარე საწარმოთა შერწყმა ისეთნაირად, რომ ახალგაზრდობა მთელი წლის განმავლობაში გარანტირებული იყოს სამუშაოთი, საჭიროა მათთვის შრომისა და დასვენების ნორმალური პირობების შექმნა.

ესაუბრა ჯამბულ არქანია.

# ხალხში საუნჯედ გაბნეული

ხახალხო მთქმელისა და დიდებული პიროვნების კაკა ქვანიას ენამახვილობა, პროზაული თუ პოეტური ოხუნჯობანი, სალაღობო თუ დიდაქტიკური ლექსები იმთავითვე შორს გასცდა მის მშობლიურ ზუგდიდს და ხალხის საუნჯედ იქცა. მისი ლექსები თავის დროზე ქვეყნდებოდა პრესაში, ზოგიერთი პოეტური ნიმუში შეტანილი აქვთ თავიანთ წიგნებში მეგრული ზეპირსიტყვიერების ცნობილ შემკრებსა და მკვლევარს კალისტრატე სამუშიას, აწგანსვენებულ პროფესორა და ჩინებულ მეცნიერ-მამულიშვილს ტოგო გუდავას.

ხალხის მეხსიერებამ დღემდე შემოგვინახა ბატონი კაკას არაერთი ენამოსწრებული თქმა. აი, ერთ-ერთი მათგანი:

მეორე მსოფლიო ომის წლები. ახალგაზრდა კაცს გაზეთი შეუძენია, დამდგარა ტროტუარზე და გამალებით კითხულობს.

—რა ამბები ხდება ქვეყნად, რას წერენ, ბაბუა, გაზეთში?—შეეკითხა კაკა.

ახალგაზრდამ თვალი შეავლო თეთრწვერა მოხუცს და ქილიკით უთხრა: წერენ, ხტამბოლში ვირები უფასოდ კოდავენო.

—გილოცავ, ბაბუა, გადარჩენან გილოცავ!—მყისვე მიუგო კაკამ.

კაკა ქვანიას ლექსი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ოცი წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთ „მებრძოლის" ფურცლებზე. მისი ავტორი, სხვათაშორის, იმ დროს 96 წლისა გახლდათ. „მებრძოლში" გამოქვეყნებული ლექსის ვარიანტი არ ემთხვევა ავტორისეულ ლექსს, შეიცვლილია მიწვდილი ორი კუპლეტის ბოლო სტრიქონი. წინამდებარე ლექსში აღდგენილია ორიგინალი.

### პაპიროსი

პაპიროსი მომაწოდეს,
ახლო იდგა პროფესორი...,
გმადლობთ, მაგრამ არ ვეწევი,—
ვუპასუხე, იყო სწორი.
არ ეწევით? მართლას ამბობთ?—
რა დროიდან, როგორ შეეშვა
შემეკითხა პროფესორი,
ვუპასუხე, რა გზა მქონდა!
„ხანამ ვიყავ მე უვიცი
მეწეოდი, როგორც სხვები.
მაგრამ როცა დავჭკვიანდი
მივატოვე, აღარ ვცდები".
პროფესორი ჩაფიქრდა და
თვალი თვალში გამიყარა,
ამოიღო პაპიროსი
ქახია და გადაყარა;
მითხრა: „ცამდე მართალი ხარ,
უეცოდა არის ესო.
მე არ მოვწევ, ამ მაგალითს
ჩაუფიქრდეს ვინც კი სწევსო"!

პუბლიკაცია მოამზადა
ჯამბულ არქანიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიწვევთ ახალ სასწავლებელში

საქართველოში მიმდინარე სოციალისტური წეს-წყობილების მსხვრევა, მართვის ახალი სტრუქტურების შექმნა, სიახლეების დანერგვა, ბუნებრივია დიდ დაჭვირვებას და შესაბამისად, დიდ ენერგიას მოითხოვს.

ჩვენს რესპუბლიკაში შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის შექმნა თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოსთვის სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების და განმტკიცების აუცილებელ პირობას შეადგენს და ამდენად ქართველმა ხალხმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ ეს სიხარულით აღიქვა.

ამ პოზიციებიდან გამომდინარე ზუგდიდის №103 სოფლის სამეურნეო პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე-ახალგაზრდობა და პედაგოგიური კოლექტივი გაგებით შეხვდა მის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ბალანსიდან ბალანსზე ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ბატალიონზე გადაცემის გადაწყვეტილებას.

ბუნებრივია, ისეთი დიდი კომპლექსის, როგორიც იყო ადრინდელი, ტოლფასი ბაზის შექმნა ახალი სასწავლო წლისათვის დღევანდელ პირობებში აღემატება არამარტო სასწავლებლის კოლექტივის, არამედ განათლების სამინისტროს შესაძლებლობებსაც კი, მაგრამ ტრადიციულად მონოლითური — შრომისმოყვარე კოლექტივი, რომლის ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია, დღეს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნარაზენის სასწავლო საკურსო კომბინატის ბაზაზე, რომელიც განათლების სამინისტროს ბრძანებით გადაეცა სასწავლებელს ბალანსზე, შეიქმნას კომპაქტური სასწავლო დაწესებულება, სადაც არა მარტო ამ რეგიონის, არამედ მთლიანად რაიონისა და ქალაქის ახალგაზრდებს ექნებათ ყველა საჭირო პირობები არჩეული სპეციალობების დაუფლების თვალსაზრისით.

სასწავლო წლის ბოლოს, გამოცდების წინა პერიოდში (სასწავლებელი მიმდინარე წელს დაამთავრა 192 ახალგაზრდამ) სასწავლებლის მოულოდნელმა დისლოკაციამ წარმოუდგენელი წინააღმდეგობები შეგვიქმნა. განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა მუშა-მოსამსახურეთა შენარჩუნების საკითხი, მაგრამ კოლექტივის სასახელოდ ყველა ძირითადი საკითხი შედარებით ნორმალურად იქნა დაძლეული.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების სამინისტროს ფულადი და მატერიალური სახსრები ამჟამად მთლიანად მიმართულია მიწისძვრის ზონაში განათლების სისტემის ობიექტების აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად და ძნელი მისაღწევი გახდა სასწავლო კორპუსის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო თანხის, სამშენებლო მასალების, სასწავლო ინვენტარის გამოყოფის საკითხების მოგვარება, ეს პრობლემა სადღეისოდ მთლიანად გადაჭრილია. სამინისტრომ, რომელიც დაინტერესებულია სასწავლებლის შემდგომი ბედით გამოგვიყო, საჭირო რაოდენობით ახალი ინვენტარი (ნაწილობრივ ინვენტარი დაგვითმო გვარდიამ) ასევე კარგი იქნება თუ გვარდიის ხელმძღვანელობა დაგვითმობს სასწავლო ავტომანქანისა და ტრაქტორის თითო ერთეულს მაინც, რაზედაც არსებობს სამინისტროს შუამდგომლობა პრეფექტურის წინაშე. ეწყობა კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები, ჩვენი ძალებით მიმდინარეობს ეზო-ტერიტორიის კეთილმოწყობა და სხვა აუცილებელი სამუშაოები.

სასწავლებელი, რომელიც რესპუბლიკის რამდენიმე სასწავლებლებთან ერთად ექსპერიმენტის სახით ამზადებდა (ორი აკადემიური ჯგუფი) ახალი ტიპის სპეციალისტებს — ფერმერ-მეიჯარეებს, ადრინდელ ადგილზე უზრუნველყოფილი იყო საჭირო რაოდენობის ტექნიკით, ლონიერი დამხმარე მეურნეობით, რაც მთლიანად პასუხობდა მის წინაშე მდგარ ამოცანებს. გადადგმული იყო პირველი ნაბიჯები ფულადი შემოსავლების გადიდების მიზნით ერთობლივი საწარმოების შექმნის თაობაზე, რაც ახლო მომავალში შესაძლებლობას მოგვცემდა ნაწილობრივ უარი გვეთქვა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამა დღის წესრიგიდან არ იხსნება, გამოუცხადა რა დიდი ნდობა ს ა ს წ ავ ლ ე ბ ლ ი ს კოლექტივს, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ახალი სასწავლო წლიდან სასწავლებელი ფუნქციონირებს არა როგორც პროფტექსასწავლებელი, არამედ მას ამ ტიპის სასწავლებლებთან შედარებით აუმაღლდა სტატუსი, გადაკეთდა ფერმერ-მეიჯარეთა სასწავლებლად და ის თავისი პროგრამის შესაბამისად მოამზადებს ახალი ტიპის სპეციალისტებს. სასწავლებლის კოლექტივი გრძნობს რა დიდ ნდობას და პასუხისმგებლობას, მაღალკვალიფიციურ კადრებზე დაყრდნობით ყველაფერს გააკეთებს ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის შექმნისა და შემდგომი ამაღლებისათვის.

სასწავლებლის კოლექტივის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში თანადგომისათვის მინდა მადლობა გადავუხადო განათლების განყოფილებას (გამგე ლ. ქვირკველია) ნარაზენის მეურნეობის კოლექტივს (დირექტორი ბ. ლომაია), ნარაზენის საკრებულოს, ადგილობრივ მოსახლეობას ვინც გაგებით და მხარდაჭერით შეხვდა სასწავლებლის დისლოცირებას რაიონის ახალ ზონაში. იმედია, მომავალშიც მჭიდრო თანადგომით შევძლებთ ზუგდიდის ფერმერ-მეიჯარეთა სასწავლებლის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას, ქვეყნისათვის საჭირო საქმის ერთიანი ძალისხმევით გაკეთებას.

ახალგაზრდები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს გააგრძელონ სწავლა ჩვენს სასწავლებელში, ახალი სასწავლო წლისათვის დახვდებათ კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, ღია და დახურული ტიპის სპორტული მოედნები, ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან მაღალი სტიპენდიითა და სახელმწიფოს მიერ ნებადართული სხვა შეღავათებით, შემდგომისათვის მოხდება პროფესიების დახვეწა და შეცვლა.

სასწავლებელს ექნება ფილიალი სოფ. კახათის ზონაში (ინგირის სასწავლო-საკურსო კომბინატი), სადაც ანალოგიურად ყველა პირობაა შექმნილი სწავლისათვის. ძირითადი სპეციალობების მიხედვით სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 1-დან 3 წლამდე. სასწავლებელში მუშაობას შეუდგა მიმღები კომისია.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ახალ სასწავლებელში.

**თამაზ ფაცაცია,**
ფერმერ-მეიჯარეთა სასწავლებლის დირექტორი.

# ზემო ყულიშკარი თუ ალერტკარი?

ამასწინათ გაზეთ „ოდიშში" (1991 წლის №56) გამოქვეყნდა ბატონ ო. როგავას წერილი, რომელიც დღეს გრიგოლიშად წოდებული სოფლისათვის ძველი სახელწოდების აღდგენის კეთილშობილურ საქმეს ეხება, მაგრამ სამწუხაროდ წერილი ერთობ ცალმხრივია და გარკვეული წინასწარი განზრახულობის ელფერს ტოვებს. მიუხედავად ბატონ ოსმან როგავასადმი ჩვენი ღრმა პატივისცემისა, უნდა აღვნიშნოთ რომ ეს წერილი აშკარად არამეცნიერული და არაპროფესიონალურია.

ბატონ ოსმან როგავას, როგორც თვითონ წერს, 1991 წლის აპრილში შემდგარ გრიგოლიშის მოსახლეობის საერთო კრებაზე, სადაც სოფლის ძველი სახელის აღდგენის საკითხი განიხილებოდა, ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული ათზე მეტი ისეთი ნაშრომი წარუდგენია შეკრებილთათვის, სადაც სოფელი ყულიშკარია მოხსენიებული. როგორც ირკვევა ბატონ ოსმან როგავას, როგორც განათლებული, მეცნიერი კაცის აზრს დიდი გავლენა მოუხდენია სოფლის კრების მონაწილეებზე. არადა, უხეში შეცდომა იქნა დაშვებული: კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: „სოფელ გრიგოლიშს აღუდგინოს ძირძველი ისტორიული სახელი და ეწოდოს ზემო ყულიშკარი".

ამრიგად, თვითნებურად, სპეციალისტების გვერდის ავლით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის წაკითხვამ შეგვაშფოთა და ხელში კალამი აგვაღებინა. მაგრამ სანამ ამ წერილის წერას შევუდგებოდით, სოფელ გრიგოლიშს ვეწვიეთ და მისი ტოპონიმები ჩავიწერეთ სოფლის ხნოვან მკვიდრთაგან. აი, ამ ტოპონიმთა ერთი ნაწილი: ბრაჭა (უბანი), ნაორხუ (ადგილი), ნაოფუთარი (ტყე), ლეარსანე (ადგილი), ოკიხე (ღელე), ნაკაკა (ბორცვი), ონჯირეში (ადგილი) და სხვა. კითხვაზე: თუ რა ერქვა გრიგოლიშს ძველად ერთადერთი პასუხი გვესმოდა — ალერტკარი. ამ სოფლის 78 წლის მკვიდრმა გრიგოლ გერმანეს ძე ანთელავამ გვითხრა: „ალერტი ანთელავების ეკლესია იყო, უბლი — როგავებისა, ხოლო უბურელი — ჭურღულიებისა. ჩვენს სოფელს ალერტკარი ერქვა, მარა კანტორა ყულიშკარში გვქონდაო".

ოთხმოცდათორმეტი წლის დარბაისელმა და უაღრესად სტუმართმოყვარე მოხუცმა არსენ ქებურის ძე კანკიამ ბრძანა: „ალერტკარი სოფელს ერქვა, ალერტი კი ეკლესიას. სადაური ხარო რომ გვეკითხებოდნენ, ალერტკარშე-ო (ალერტკარიდანო) ვეტყოდით. ალერტკარი ყულიშკარის თემში შედიოდა".

მეზობელი სოფლების (ლედგებიეს, ყულიშკარის, ჭაქვინჯის, უჩაშონას, ჯიხაშკარის...) მკვიდრნი ამ სოფელს ალერტკარს ეძახიან.

1968 წელს სამეგრელოში ონომასტიკური ექსპედიციის მუშაობის დროს გრიგოლიშის ძველ სახელად ალერტკარი იქნა დადასტურებული. ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი, ცნობილი ლექსიკოლოგი და ტოპონიმიკოსი, პროფესორი ალ. ღლონტი, სამეგრელოს ტოპონიმთა ლექსიკონში გრიგოლიშს შემდეგნაირად განმარტავს: „გრიგოლიში (ყოფ. ალერტკარი) სოფელი. სასოფლო საბჭო ზუგდიდის რაიონში". ამის შემდეგ ჩამოთვლის აქ მცხოვრებ საგვარეულოებს — ანთელავა, ბოკუჩავა, კანკია, ლაგვილავა, როგავა, ხასია და სხვა. (ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, 1 თბ. 1971. გვ. 58).

ამრიგად, ისეთ ბრწყინვალე ტოპონიმიკოსსაც, როგორიც პროფესორი ალ. ღლონტია ამ მეოთხედი საუკუნის წინათაც გრიგოლიშის ძველ სახელად ალერტკარი ჩაუწერია ადგილობრივ მკვიდრთაგან.

გრიგოლიშის ძველი სახელი რომ მართლაც ალერტკარია, კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტებითაც.

ერთი 1926 წლით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, რომელსაც ჰქვია „ზუგდიდის მაზრის დასახლებულ ადგილთა მტკიცე სია" და რომელიც სამაზრო აღმასკომის მიერაა დამტკიცებული, ყულიშკარის სათემო საბჭოში შედიოდა სამი სოფელი: ყულიშკარი — 295 კომლი და 1886 მცხოვრები: ალერტკარი — 191 კომლი და 874 მცხოვრები და უჩაშონა — 135 კომლი და 620 მცხოვრები (ზუგდიდის არქივი, ფონდი 117, საქმე 24, ფურც. 1).

1926 წლის 17 დეკემბრის ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვითაც ყულიშკარის თემში სამი სოფელი (ყულიშკარი, ალერტკარი და უჩაშონა) ყოფილა გაერთიანებული (ზუგდიდის არქივი, ფონდი 117, საქმე 5, ფურც 5).

1928 წლის 28 აპრილს შედგენილ ერთ-ერთ ოფიციალურ საარქივო დოკუმენტში ცალ-ცალკე არიან შეტანილნი ყულიშკარის თემის სოფლების — ყულიშკარის, ალერტკარისა და უჩაშონას მკვიდრნი. ალერტკარის მკვიდრთაგან ამ სიაში დასახელებულნი არიან: ტიტო ბენუს ძე როგავა, ბიქტორ პეპუს ძე როგავა, ლომენტი ათას ძე როგავა, დიანოზ ლემონჯარია, უშანგი ესებუა, გაჩი უარას ძე როგავა, მიხეილ ესებუა, იასონ ქანთარია, გერმანე ანთელავა, სტეფა ლაჭავა, ცაცუ ლაგვილავა, და პეტრე პავლეს ძე ლაგვილავა (ზუგდიდის არქივი, ფონდი 117, საქმე 57, ფურც. 88).

მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის ზუგდიდის რაიონული განყოფილების არქივში დაცულია ალერტის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრიკული წიგნები 1908-1928 წლებისა, სადაც დაცულია ცნობები ამ დროს დაბადებულ ჯვარდაწერილ და გარდაცვლებულ ალერტკარელთა შესახებ. იმ პირებს, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ თავის სოფელს ნაცვლად ძველთაძველი და თანაც ულამაზესი სახელის ალერტკარისა, მათ მიერვე გამოგონილი სახელი ზემო ყულიშკარი დაანათლონ, შეუძლიათ ჩაიხედონ ამ მეტრიკულ ჩანაწერებში და იქ იპოვიან თავიანთი წინაპრების შესახებ ცნობებს, წინაპრებისა, რომელთაც ალერტკარში უცხოვრიათ და იქვე უპოვიათ სამუდამო განსასვენებელი. აქ ჩვენ ჩამოვთვლით ზოგიერთ მათგანს დაბადებისა და გარდაცვალების წლების მითითებით ნიკოლოზ მაქსიმეს ძე კანკია (1869-1907), იონა ბიბუს ძე ესებუა (1870-1907), ტაია კუტულის ძე ლაგვილავა (1846-1909), თადეოზ პეპუას ძე როგავა (1855-1907), პეპუ ბაკუს ძე როგავა (1852-1912), ბახვა შუკოჩის ძე როგავა (1840-1907), ალექსი პავლეს ძე როგავა (1865-1907), თიყვაია გერგობას ძე ქობალია (1882-1900), სიკო ზურაბის ძე ანთელავა (1847-1900), ტაგუ სკვერიას ძე როგავა (1888-1901), ძურგუ მახუს ძე ნანავა (1835-1901), დუტუ სვიმონის ძე მაჭავარიანი (1840-1901), ყალმათი ბეჩუნას ძე როგავა (1888-1901), ბაშკუტია ბაკურიას ძე გვილია (1819-1901).

როგორც უკვე აღინიშნა, სოფელი ალერტკარი ჯერ ყულიშკარის თემში, მოგვიანებით კი ყულიშკარის სასოფლო საბჭოში შედიოდა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ოქმს სოფელ ალერტკარისათვის გრიგოლიშის დანათვლის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ ხელთა გვაქვს 1930 წლის 27 აპრილის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# ვემო ყულიშკარი თუ ალერტკარი?

(დასასრული)

დათარიღებული ოქმი ზუგდიდის რაიაღმასკომის პრეზიდიუმისა სოფელ გრიგოლიში გრიგოლ როგავას სახელობის კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ (ზუგდიდის არქივი ფონდი 5 საქმე 5 გვ. 8).

აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: საქართველოს რესპუბლიკის საზოგადო რუკაზე, რომელიც 1931-1932 წლებშია შედგენილი პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ცალკეა დატანილი სოფელი ალავერდისკარი (რაც ალერტკარის ლიტერატურიზირებული ფორმაა).

ამრიგად სოფელ გრიგოლიშს უნდა აღუდგეს ძველი ისტორიული და თანაც ულამაზესი ჟღერადობის სახელი— ალერტკარი.

დასასრულს აუცილებლად მიგვაჩნია ზუგდიდის პრეფექტურასთან შეიქმნას ბოლშევიკების მიერ სახელშეცვლილი სოფლების ისტორიული სახელწოდებების დამდგენი კომისია, სადაც პირველ რიგში სპეციალისტები უნდა იქნენ მიწვეულნი. თუკი ეს არ მოხერხდა, უნდა აიკრძალოს სოფლებისათვის ახალი სახელების დანათვლა ისტორიის ინსტიტუტის ან ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის დასკვნის გარეშე. ნათქვამია, ქოთანი მექოთნემ უნდა აკეთოსო.

**აბესალომ ტუღუში,**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის—ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

**ავთანდილ თორდია,**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

---

**საქართველოს რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ა ც ხ ა დ ე ბ ს**

მოსწავლეთა მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **აგრონომიულ განყოფილებაზე:**

უმცროსი აგრონომის სპეციალობით—არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

2. **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განყოფილებაზე:**

ტექნიკოს მექანიკოსის სპეციალობით. რვაწლიანი სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში პირველ კურსზე სწავლების ვადით 3 წელი და 6 თვე.

3. **საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებაზე** — ბუღალტრის სპეციალობით. საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში მეორე კურსზე სწავლების ვადით 1 წელი და 9 თვე.

4. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაცია-ტექნოლოგიის განყოფილებაზე**— ორგანიზატორ-ტექნოლოგის სპეციალობით. საშუალო სკოლის ბაზაზე შექმნილ ჯგუფებში მეორე კურსზე სწავლების ვადით 2 წელი და 6 თვე.

ცხრაკლასდამთავრებულები ტექნიკუმის დამთავრებით ღებულობენ ზოგად საშუალო განათლებას და დიპლომთან ერთად მიიღებენ მესამე კლასის ავტომძღოლისა და ტრაქტორისტის მოწმობებს.

ოთხოსნები და ხუთოსნები მიიღებენ სტიპენდიას 100-125 მანეთს.

ტექნიკუმში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან რესპუბლიკის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, მათ დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება ერთიანი ფორმის მიხედვით შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. მოწმობა ან ატესტატი განათლების შესახებ (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა ფორმა №086, გაცემული საექიმო პროფილაქტიკური დაწესებულებების მიერ საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. 3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან დამოწმებული წარმოება-დაწესებულებათა მიერ საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. 4. სასწავლებლად მივლინებულთა მომართვა ერთიანი ფორმით (დანართი №3, №4) ეძლევათ საწარმოებიდან, მეურნეობებიდან, კოლმეურნეობებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან. 5. 4 ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) ზომით 3X4, სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს.

**განცხადებები მიიღება** 1 ივნისიდან 31 ივლისამდე.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება:** 1. **საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობაზე:** მათემატიკა — ზეპირი, ქართული ენა-ლიტერატურა—თხზულება.

2. **ორგანიზატორ-ტექნოლოგის სპეციალობაზე** მათემატიკა—ზეპირი. ქართული ენა-ლიტერატურა—თხზულება.

**შენიშვნა:** აგრონომიულ და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალობებზე (№1502, 1508) გავრცელდება ექსპერიმენტი და აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (გასაუბრებით).

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა სტუდენტი მიიღებს სტიპენდიას არა ნაკლებ 160 მანეთისა.

**მისამართი:** ზუგდიდის რაიონი, ზედაეწერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, ტელეფონი 78-2-47.

**დირექცია.**

---

## ᲬᲘᲜᲐᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲣᲠᲘ

პირველ რიგში ნარდის თამაშის საერთაშორისო წესების დაუფლებას, სპორტული ნარდის პოპულარიზაციას, მონარდეთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მოსახლეობის გართობა - დასვენებისათვის ყოველგვარი პირობების შექმნას, მონარდეთა ურთიერთდაახლოებას ისახავდა მიზნად ამა წლის 8-9 ივნისს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მიერ ჩატარებული ჩემპიონატის მეორე ტური, სადაც თავი მოიყარა პირველ ტურში გამარჯვებულმა 32 ნარდის მოყვარულმა სპორტსმენმა.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" 1991 წლის სპორტული ღონისძიების კალენდრისა და დებულების მიხედვით ნარდის მოყვარულთა მეორე ეტაპის შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო პრიზები და ფულადი პრემიები.

პირველი პრიზი და ფულადი პრემია —3 ათასი მანეთი გადაეცა კოოპერატივ „ფენიქსის" თავმჯდომარეს შ. გვილიას, ხოლო მეორე და მესამე ადგილების დაკავებისათვის პრიზები და პრემიები გადაეცათ ჟ. შულაიასა და ე. მაქაცარიას.

პრიზები და ფულადი პრემიები გამარჯვებულებს გადასცა „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ი. ბეზაშვილმა და უსურვა მათ მესამე ტურში წარმატებები, რომელიც გაიმართება ამა წლის ოქტომბერ-ნოემბერში ქალაქ თბილისში.

**ნ. გოგინავა,**

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ზუგდიდის საქალაქო საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

---

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ

ზუგდიდის სპორტულ საზოგადოებას გამოაკლდა საფეხბურთო კლუბ „ოდიშისა" და სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქალაქო საბჭოს ბავშვთა ფეხბურთის უფროსი მწვრთნელი **ბორის (ბუხუ) თადეოზის ძე შურღაია.**

იგი დაიბადა ქ. ზუგდიდში 1923 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ეზიარა სპორტის ულამაზეს სახეს—ფეხბურთს. წლების მანძილზე იყო ზუგდიდის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის წამყვანი ფეხბურთელი. რესპუბლიკის პირველობის გათამაშებებში არა ერთგზის დაუმსახურებია საპრიზო ადგილები. 1967 წელს საცხოვრებლად უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში გადასვლის შემდეგ იყო სამარყანდის ბავშვთა სპორტული სკოლის ფეხბურთის მწვრთნელი.

1978 წლიდან „ბუხუ", რომელსაც სიყვარულით ეძახოდნენ ზუგდიდელები, ჩვენს ქალაქშია და უძღვება ბავშვთა ფეხბურთს.

ზუგდიდის სპორტული საზოგადოება, გულშემატკივრები ეთხოვებიან ნიჭიერ ფეხბურთელს, რომელსაც მრავალჯერ დაუცავს თავისი ქალაქის ღირსება და შორს გაუტანია მისი სახელი.

წავიდა ჩვენგან უწყინარი მეგობარი, ამაგდარი ფეხბურთელი, ახალგაზრდობის ერთგული დამრიგებელი, რომლის ნათელ ხსოვნას დიდხანს შეინახავს ზუგდიდის საზოგადოება.

**ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი „ოდიში", სპორტსაზოგადოება „დინამოს" საქალაქო საბჭო.**

---

პირველი ჯგუფის ინვალიდი **სევე კონჯარია** გულისხმიერებისა და მზრუნველობისათვის მადლობას უხდის უბნის ექიმს **ინეზა შურღულიას** და უსურვებს წარმატებებს შემდგომ საქმიანობაში.

---

მინდა შევიძინო ერთოთახიანი ბინა ქალაქის ცენტრში. დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ დარეკოთ 2—53—21.

---

შვილები: ლამარა, ვაჟიკო, გურამი, სიძეები ვილოდი ჭაჭუა, ჯიმშერი მიქავა. რძლები: აზა, ნაზო, ვარდიშა, ლუნა, გული, მარინა. შვილიშვილები: ნუგზარი, დოდო, ზურაბი, ზოია, რამაზი, თამაზი ლეთანძეები, ლუიზა, ემზარი, ლარისა, ლამზირა, ელდარი ჭაჭუები, მული ბაბუცა გოგია, ძმისშვილები: ნოდარი, კატუშა, ლულიკო თოდუები, პეტრე ფიფია, მულიშვილები, მაზლიშვილები, ბიძაშვილები, შვილთაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ანტისა (ნათელა) ევგენის ასულ თოდუა-ლეთანძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25 ივლისს სოფელ რუხში, გამოსვენება ნატანების ქ. 46-დან.

---

შვილები: გენო, გონერი, ლუარა, ლიანა, მზია, ნატო, და კატუშა, რძლები როენა მებონია, ლუბა მარღია, სიძეები: ვალტერი მალაზონია, ნოდარი ნოდია, შალიკო მებონია, ცოლისძმა გივი კაკაჩია, ცოლისდები ჟარვალა, ტატი, ეთერი. შვილიშვილები: გია, კობა, ფირუზი მალაზონიები, თემური, თორნიკე, თეონა გეთიები, ნანა, ნათია მებონიები, დათო ნოდია, დისშვილები: კოჩია ლაკირბაია, გურიელ გიგიბერია, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**დათიკო ტრიფონის ძე გეთიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 29 ივლისს. დაკრძალვა 30 ივლისს სოფ. ჯიხაშკარში.

---

დიდა ნაზია, ძმა სოსო, დები ინეზა, ვალია, ლუარა, ზაირა, მამიდები: ეფრო, ბაბუცა ჩახაიები, ბიძები მამია შანავა, ვანო გეთია, ბიცოლა ნანუში შანავა, დეიდა ნელი გეთია, ძმისშვილი მანუჩარი, დისშვილები კობა, ლადო, ნესტანი ფაცაციები, გია, გელა, მადონა კვირტიები, ზაზა, ნათია კანკიები, მამიდაშვილი აპოლონ სტეფანია, ბიძაშვილები: ჟუჟუნა ჩახაია, მზია, ნუგზარი, ზამირი შანავები, დეიდაშვილები: მანონი, ბუთხუზი, ვალერი, იური გეთიები, სიძეები დათო კანკია, ჯუმბერი ფაცაცია, რობერტ კვირტია, ახლო ნათესავებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა **დემური ლავრენტის ძე ჩახაია.** პანაშვიდი 28, 29 ივლისს. დაკრძალვა 30 ივლისს სოფელ ჯიხაშკარში.

---

შვილები: ლიდია, ჟუნა, თალი, შვილიშვილი კარლო სარსანია, რძლები: ნადია, ნარგიზა, ნათელა, ნანი, სიძეები: მიშა ჯაბუა, მიშა ოყუჯავა, ბიძაშვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნაურა ალექსის ასულ ჯანაშია-ფარცვანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27 ივლისს. დაკრძალვა 30 ივლისს ს. რუხში, გამოსვენება ნატანების ქ. 58.

---

შვილი ლერი, ძმისშვილები ნინა, მარგო, სიძე ვალიკო დარასელია, რძლები დოდო კიკალიშვილი, ლიანა ნეფარიძე, თინა ხასია, ძმისშვილიშვილები აზა, ნონა, რუსიკო, თამილა მამუკა მირცხულავები, ჟოლიკო, ველოდი, ტარიელ თარულავები, ილუშა, ოთარი დარასელიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ლენა ვასილის ასულ მირცხულავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26 ივლისს. დაკრძალვა 27 ივლისს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ჩიტაძის ქ. 42-დან.

---

მეუღლე ნელი. შვილები: ნანა, გია, გოჩა, ლიანა, შვილიშვილები: ნინიკო, ეგნატე სარიები, რძლები ნანა გულუა, ფოთო, ნათელა, ფაჩი, დავლინა, სიძეები: გია როგავა, ჟორჟი სამელია, დები: ნორა, ანიჩკა, ძმები: ხუტა, ალიკო, რეში არახამიები, ვაჟა მანია, სიდედრი თამარი, სიმამრი კაკა ქიბურიები, მზახლები თინა, ჯონი გოლოები, ცოლისძმები: ზური, რევაზი, ალიკო ქიბურიები, დისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**გივი ეგნატეს ძე სარიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26, 27 ივლისს. დაკრძალვა 28 ივლისს. გამოსვენება 18 საათზე, ქ. ზუგდიდი, სამეგრელოს ქ. 9.

---

კახათის პირველი საშუალო სკოლის 1990 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან

**რამაზ ზაურის ძე გუგუჩიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ნონა დავითაია, სიძე ტარიელ ბოკუჩავა შვილებით: გოგი და მედეა იუწყებიან

**ტატიანა შენგელია-დავითაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 ივლისს სოფ. ეკში (სენაკის რაიონი).

---

**რედაქტორი**

**აკ. შანტურია.**

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 30 ტელეფონები: რედაქტორის 2-24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69; პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 [illegible] მშრომელთა წერილების 2-25 12, რადიორედაქციის 2 47 09.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, ä-28 07, ტირაჟი 8000 შეკ. №2076